ხელშეკრულება N 7
(cpv 64200000)

ქ. თბილისი 04. 01. 2017 წელი

შპს „მაგთიკომი" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის იურიდიულ საკითხებში ანდრია ზოდელავას სახით, შემდგომში – გამყიდველი, ერთის მხრივ და სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო მისი უფროსის გრიგოლ კაკაურიძის სახით - შემდგომში მყიდველი, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 8640 (რვაათას ექვსას ორმოცი) ლარის მობილური სატელეფონო მომსახურების შესყიდვა (მონო ბარათები).

1.2. მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, გამყიდველის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. მყიდველი ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს გამყიდველს მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 გამყიდველი ვალდებულია:

2.2.1 ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

3.2 მყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1 პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება გამყიდველთან მოახდინოს ნაწილობრივ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თანავე, მომსახურება განხორციელდება 2017 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 31 იანვარი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება სრულად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

8.2. ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:

იურიდიული მისამართი

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №5

საბანკო რეკვიზიტები;

ს.ს. "ვითიბი ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა **GE73VT6600000000423607**
ბანკის კოდი **UGEBGE22**
საიდენტ. კოდი **204876606**

გენერალური დირექტორის
მოადგილე იურიდიულ საკითხებში

(ანდრია ზოდელავა)

მყიდველი:

იურიდიული მისამართი

ქ. თბილისი, ჯიქიას №8

საბანკო რეკვიზიტები;

სახელმწიფო ხაზინა

საიდენტ. კოდი **202466991**

საკონტაქტო ტელ. 2 932 732;
597 145623

სააგენტოს უფროსი

(გრიგოლ კაკაურიძე)